v#d#h#t#v#s#h#u#w #r # g#d#v#n#y#q#d

განმარტებითი ბარათი.

ქ1#თბილისში**,** გიორგი ტერევერკოს ქუჩა N24-ში მისამართზე არსებულ მიწის ნაკვეთზე ს2g=**01.13.01.018.298** არსებული სკოლის შენობის რეკონსტრუქციის (ფუნქცია: სამეცნიერო-საგანმანათლებლო ობიექტი, სკოლა) არქიტექტურული პროექტის „ტექნიკური რეგლამენტის – შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით

1. გამოყენების და დაკავებულობის კლასიფიცირების შეფასება**:**

შენობის თითოეული ნაწილი დაკავებულობის და გამოყენების მიხედვით დაკლასიფიცირებული იქნება **302** ქვეთავის შესაბამისად**.**

▪ შენობაში გამოყენებული იქნება შემდეგი დაკავებულობის ჯგუფები**:**

- საგანმანათლებლო ჯგუფი სგ (საკლასო ოთახები) - შეესაბამება 305 ქვეთავს, რომლის თანახმად ამ ჯგუფს განეკუთვნება შენობა ან ნაგებობა ან მათი ნაწილი, რომელიც ნებისმიერ დროს გამოიყენება ექვსი ან მეტი ადამიანის განათლების მიზნით, 12 კლასის ჩათვლით.

- საქმიანი ჯგუფი სქ (დაცვა) - შეესაბამება 304 ქვეთავს, რომლის თანახმად ამ ჯგუფს განეკუთვნება შენობები ან მათი ნაწილები, რომლებიც გამოიყენება საოფისე, პროფესიული ან სამომსახურებო ტიპის საქმიანობებისთვის, მათ შორის, ჩანაწერებისა და ანგარიშების შესანახად.

- თავშეყრის ჯგუფი თვ**-3** (სალექციო დარბაზები) - შეესაბამება 303.4 ქვეთავს, რომლის თანახმად ამ ჯგუფს განეკუთვნება სალექციო და სხვა სახის თავშეყრისთვის.

- თავშეყრის ჯგუფი თვ**-2** (სასადილო სამზარეულოთი) შეესაბამება 303.3 ქვეთავს, რომლის თანახმად ამ ჯგუფს განეკუთვნება თავშეყრისა და კვებისთვის განკუთვნილი სივრცეები მათთან დაკავშირებული სამზარეულოების ჩათვლით).

- მცირე საფრთხის შემცველი სასაწყობო ჯგუფი სწ**-2** (საკვები პროდუქტების საწყობი- შეესაბამება 311.3 ქვეთავს, რომლის თანახმად ამ ჯგუფს განეკუთვნება საწყობად გამოყენებული სივრცე, სადაც ინახება მცირე საფრთხის შემცველი პროდუქტი.

- დამხმარე და სხვადასხვა დანიშნულების ჯგუფი დს (სახანძრო ტუმბოების ოთახი, შენობისგან დამოუკიდებლად განთავსებული სათადარიგო ელ-მომარაგენის ოთახი (საგენერატორო), შეესაბამება 312.1 ქვეთავს, რომლის თანახმად ამ ჯგუფს განეკუთვნება დამხმარე დანიშნულების შენობები.

2. შენობის ზოგადი სიმაღლის და ფართობის შეფასება**:**

საპროექტო შენობა შეესაბამება 503-ე ცხრილს, თითოეულ სართულზე დაკავებულობის ჯგუფის, ფართობის, სართულიანობის, სიმაღლის და კონსტრუქციის ტიპის მიხედვით. არ მოხდება არსებული სართულიანობისა და სიმაღლის გაზრდა.

3. კონსტრუქციის ტიპის შეფასება:

საპროექტო შენობის კონსტრუქციის ტიპი **(I-B)** შენობის სიმაღლის, სართულიანობის, დაკავებულობის ჯგუფის და თითოეულ სართულზე დაკავებულობის ჯგუფების ფართობის გათვალისწინებით, სწორად იქნება შერჩეული.

I-B ტიპის კონსტრუქციული ელემენტებისადმი მოთხოვნები უნდა განისაზღვროსანისაზღვრება 601 ქვეთავის შესაბამისად. არქიტექტურულ პროექტის ხანძარსაწინააღმდეგო ნაწილში აისახება ასეთი კონსტრუქციული ელემენტების მოთხოვნილ ცეცხლმედეგობის ხარისხისხებთან მიმართებაში შესაბამისობა, რომელიც შესაძლებელია დაზუსტდეს კონსტრქუციულ პროექტში.

4. ცეცხლისა და კვამლისგან დაცვის საშუალებების შეფასება**:**

შენობის ფასადებზე არსებული ნაშვერები, რომლებიც გარე კედლის მიღმა გრძელდება, არ უახლოვდება ხანძარსაწინააღმდეგო მანძილის ასათვლელ ხაზს 705.2 ცხრილში მითითებულ მანძილზე მეტად.

- ვინაიდან მთლიანი შენობა აღიჭურვება ავტოსაშხეფი სისტემით, შენობის გარე კედლებში არსებული ღიობები შვეულად გამიჯვნა 705.8.5 ქვეთავის მეორე გამონაკლისებით არ მოეთხოვება.
- გარე კედლის ღიობების მაქსიმალური ფართობი ხანძარსაწინააღმდეგო მანძილისა და ღიობის დაცვის ხარისხის მიხედვით შეესაბამება 705.8 ცხრილის მოთხოვნებს.

თარაზულ ანაწყობში არსებული ყველა შვეული ღიობი მთლიანად შახტის შემომზღუდავში მოექცევა, რაც შეესაბამება 712.1.1 ქვეთავის მოთხოვნას.

- სახანძრო ტუმბოს ოთახი სხვა ფართებისგან გაიმიჯნება 1 საათიანი ცეცხლმედეგი

ზღუდეებით, თანახმად 713.2.1 ქვეპუნტის პირველი გამონაკლისისა.

- კარის ღიობის ცეცხლისაგან დამცავი ანაწყობების ცეცხლმედეგობის ხარისხი განისაზღვრება 716.5 ცხრილის შესაბამისად.

5. ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების შეფასება:

903.2.1.2, 903.2.1.3 და 903.2.3 ქვეთვებით სავალდებულოა მთელი შენობის ავტოსაშხეფი სისტემით აღჭურვა, რაც დაკმაყოფილდება წარმოდგენილი პროექტით.

- 904.11 ქვეთავის თანახმად სახანძრო ტუმბოს ოთახში გათვალისწინებული იქნება ალტერნატიული ავტომატური ცეცხლსაქრობი სისტემა.

შენობაში გათვალისწინებული იქნება სახანძრო მილდგარების სისტემა 905 ქვეთავის მოთხოვნების გათვალისწინებით.

- შენობაში გათვალისწინებული იქნება ხელის ცეცხლმაქრების განთავსება 9 მ-ის საზღვრებში, რაც შეესაბამება, 906 ქვეთავის მოთხოვნას.

მთელი შენობა აღიჭურვება სახანძრო განგაშის ხელით სამართავი კოლოფებით და საგენგებო ხმოვანი განგაშის საკომუნიკაციო სისტემით, რაც შესაბამისობაშია 907 ქვეთავის მოთხოვნებთან.

მთელი შენობა აღიჭურვება კვამლაღმომჩენებით, რაც შეესაბამება 907 ქვეთავით დადგენილ მოთხოვნებს.

6. გასასვლელი საშუალებების შეფასება:

1016.2 ცხრილის მოთხოვნების დასაცავად, თითოეული სართული უზრუნველყოფილი იქნება 2 გასასვლელით.

თითოეული სივრცისთვის დაკმაყოფილდება 1015.1 ცხრილის მოთხოვნა, კერძოდ იმ სივრცეებში სადაც სგ ჯგუფის დაკავებულობის დატვირთვა არ აცდება 49 დამკავებელს, სქ ჯგუფის დაკავებულობის დატვირთვა არ აცდება 49 დამკავებელს, თვ-4 ჯგუფის დაკავებულობის დატვირთვა არ აცდება 49 დამკავებელს, სწ-1 ჯგუფის დაკავებულობის დატვირთვა არ აცდება 29 დამკავებელს, სმ-1 ჯგუფის დაკავებულობის დატვირთვა არ აცდება 49 დამკავებელს, მოწყობილია ერთი გასასვლელი ან გასასვლელთან მისადგომი გზა კარი; ხოლო სივრცეებში სადაც დაკავებულობის ჯგუფის შესაბამისი დაკავებულობის მაქსიმალური დატვირთვა აღემატება ზემოაღნიშნულ მონაცემებს, მოეწყობა ერთზე მეტი გასასვლელი ან გასასვლელთან მისადგომი გზა-კარი.

გასასვლელი საშუალებების სხვა კომპონენტების (დერეფნის) გამტარუნარიანობის გამოსათვლელად დაკავებულობის დატვირთვა გამრავლდება გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობის ფაქტორზე, რომელიც, მთლიანად ავტოსაშხეფით აღჭურვილი შენობებისთვის, თითო დამკავებელზე 3,8 მმ-ია. ასეთი სახით გამოთვლილი დერეფნის გამტარუნარიანობა გაცილებით ნაკლებია 1018.2 ცხრილით განსაზღვრულ მინიმალურ თავისუფალ სიგანეზე (1.80 მეტრის სახით). წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტით დაკმაყოფილებული იქნება წესების

მოთხოვნები და დერეფნის თავისუფალი სიგანე გაუტოლდება სულ მცირე 2.00 მეტრს.

თითოეულ გასასვლელის კარს მოემსახურება გასასვლელის ნიშანი, თანახმად 1011.1 ქვეთავისა. გასასველლის ნიშნების განათებულობა გათვალისწინებული იქნება. ამობურცული ნიშნებითა და ბრაილით წარწერა „გასასვლელი/EXIT“ მოეწყობა გასასვლელის ყველა გზა-კართან, რაც შეესაბამება 1011.4 ქვეთავის მოთხოვნას.

- გზა-კიბის ამოსაცნობი ნიშანი, მათ შორის ბრაილითა და ამობურცული სიმბოლოებით მოეწყობა გზა-კიბის იატაკის დონეზე არსებულ თითოეულ ბაქანზე.

7. მისაწვდომობის შეფასება:

თანახმად 1103.1 ქვეთავისა, დროებითი ან მუდმივი ადგილები, შენობები, ნაგებობები, საშუალებები, ელემენტები და სივრცეები, მისაწვდომი უნდა იყოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის. აღნიშნული მოთხოვნა საპროექტო დოკუმენტაციით დაცული იქნება და მთელი საპროექტო შენობა და მიწის ნაკვეთი მისაწვდომია.

თანახმად 1104.5 ქვეთავისა, მისაწვდომი სვლაგეზები უნდა ემთხვეოდეს საერთო გამოყენების მიმოსვლის ბილიკს ან მდებარეობდეს იმავე ფართობზე, რომელზეც საერთო გამოყენების მიმოსვლის ბილიკი. თუ მიმოსვლის ბილიკი შიგა სივრცეშია, მისაწვდომი სვლაგეზიც შიგა სივრცეში უნდა იყოს. თუ მისაწვდომი სვლაგეზი მხოლოდ ერთია, ის არ უნდა კვეთდეს სამზარეულოებს, სათავს ოთახებს, დასასვენებელ ოთახებს, საკუჭნაოებსა და მსგავს სივრცეებს. აღნიშნული მოთხოვნა საპროექტო დოკუმენტაციით დაცული იქნება. მისაწვდომი სვლაგეზის პარამეტრები შეესაბამება „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მოთხოვნებს. იხილეთ სტანდარტის შეფასება.

საპროექტო შენობის ყველა მთავარი შესასვლელი იქნება მისაწვდომი, რაც შეესაბამება 1105.1 ქვეთავის მოთხოვნას.

შენობაში მისაწვდომ სივრცეებს მოემსახურება შესაბამისი რაოდენობის მისაწვდომი გასასვლელი საშუალება, რაც შეესაბამება 1007.1 ქვეთავის მოთხოვნას.

- თითოეული აუცილებელი მისაწვდომი გასასვლელი საშუალება უწყვეტად იქნება მიმართული საზოგადოებრივი გზისკენ და მოიცავს მისაწვდომ გზა-კიბეებს და მისაწვდომ სვლაგეზს, რაც შეესაბამება 1007.2 ქვეთავის მოთხოვნას.
- მისაწვდომობის საერთაშორისო სიმბოლო განთავსდება მისაწვდომ ტუალეტებთან, შესაბამისი ამობურცული სიმბოლოებითა და ბრაილის წარწერით, რაც შეესაბამება 1110.1 ქვეთავს.

8. შიგა გარემოს შეფასება:

მიწის დონის ზევით მდებარე თითოეული სართულის დაკავებული სივრცე განიავდება ბუნებრივად ფანჯრებისა და კარების საშუალებით. ბუნებრივი განიავების წყარო გავა საზოგადოებრივ სივრცეში და 1206 ქვეთავის შესაბამის ეზოში. ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 1203.4, 1203.4.1 და ქვეთავებს.

გასასვლელის ავარიული განათება მოეწყობა გასასვლელი საშუალებების ყველა ნაწილში (გზა-კიბის თითოეული სართულის დონეზე, საერთო სარგებლობის დერეფნებში თითოეული სართულის დონეზე). ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 1205.5 და 1006.1 ქვეთავების მოთხოვნებს.

თითოეული დაკავებული და გამოყენებადი სივრცის ჭერის სიმაღლე არ იქნება 2,3 მ-ზე ნაკლები, რაც შეესაბამება 1208.2 ქვეთავს.

9. გარე კედლების შეფასება:

გარე კედლების ცეცხლმედეგობა განისაზღვრება 602 და 705.8.5 ქვეთავების მოთხოვნათა დაცვით, გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი განისაზღვრება მინიმუმ 1 საათით. ყოველივე აღნიშნული დააკმაყოფილებს 1403.4 ქვეთავის მოთხოვნას.

10. სახურავის ანაწყობების შეფასება:

- საპროექტო შენობის გადახურვა სწორია.

სავალდებულოდ გასათვალისწინებელი საკითხები:

• სახურავს, კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე უნდა გააჩნდეს მინიმუმ 2.0 საათიანი ცეცხლმედეგობა. სახურავის კონსტრუქციის და სახურავის ბურულის მასალის წესებით განსაზღვრული ცეცხლმედეგობის ხარისხის უზრუნველყოფაზე, პასუხისმგებელია მასალის მომწოდებელი და შენობის შემსრულებელი (ამშენებელი) მხარე, მასალის ხარისხი დადასტურებული უნდა იყოს შესაბამისი სერტიფიკატების მეშვეობით.

• სახურავის ბურული ხანძრის კლასიფიკაცია კონსტრუქციული ანაწყობების მიხედვით უნდა განეკუთვნოს B კლასს, თანახმად ცხრილი 1505.1ა (B კლასის სახურავის ანაწყობებად ითვლება ის ანაწყობები, რომლებიც ტესტირების დროს უძლებს ზომიერი ცეცხლის ზემოქმედებას).

• პარაპეტებს ცეცხლმედეგობის ისეთივე ხარისხი უნდა ჰქონდეს, როგორიც აუცილებელია საყრდენი კედლისათვის.

• პარაპეტის კედლები სათანადოდ უნდა დაიფაროს არაწვადი, წყალგაუმტარი მასალებით.

• ჰიდროიზოლაცია ისე უნდა მოეწყოს, რომ კედლისზედა ბურულების გადაბმების, ნესტგამტარი მასალების, პარაპეტის კედლების გადაკვეთის ადგილებისა და სახურავის ზედაპირზე არსებული სხვა ღიობების გავლით ნესტმა ვერ შეაღწიოს კედელსა და სახურავში.

• ჰიდროიზოლაცია უნდა მოთავსდეს კედლისა და სახურავის გადაკვეთის ადგილებში, წყალსადინარ არხებთან, სახურავის ქანობის ან მიმართულების შეცვლის ადგილებში/ლითონის ჰიდროიზოლაცია უნდა იყოს კოროზიამედეგი და, არანაკლებ, 0,5 მმ სისქისა.

• შენობების გარეთ მოთავსებული წყალარინი ღარები და მილები არაწვადი მასალით ან, სულ მცირე, 40 ზომის პლასტმასის მილებით უნდა აიგოს.

• სახურავის ფენილის თავზე მოწყობილი თერმული იზოლაციის ფილა უნდა შეესაბამებოდეს

1508.2 ცხრილში მოცემულ სტანდარტებს.

11. წყალსადენი სისტემების შეფასება:

საპროექტო შენობაში თითოეული დაკავებული ჯგუფისთვის (სქ; თვ; სგ) გათვალისწინებული იქნება შესაბამისი რაოდენობის ტუალეტის ოთახები შესაბამისი მოწყობილობებით და შშმ პირთათვის გათვლილი 1 ტუალეტის ოთახი, თითო უნიტაზით და ხელსაბანით. ასევე თითოეული სართული უზრუნველყოფილი იქნება 1 ცალი სამომსახურეო ნიჟარით და 1 ცალი წყლის დასალევი ნიჟარით.

საგანმანათლებლო, თავშეყრისა და საოფისე ფართებისთვის მოწყობილი ტუალეტები უზრუნველყოფილი იქნება ნიშნებით, მათ შორის მისაწვდომი ნიშნებით, რაც შეესაბამება 1602.4 ვეთავის მოთხოვნას.

ქ#თბილისში, გიორგი ტერევერკოს ქუჩა N24-ში მისამართზე არსებულ მიწის ნაკვეთზე ს2ფ=**01.13.01.018.298** არსებული სკოლის შენობის რეკონსტრუქციის (ფუნქცია: სამეცნიერო-საგანმანათლებლო ობიექტი, სკოლა) არქიტექტურული პროექტის არქიტექტურული პროექტის საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 დეკემბრის №732 დადგენილებით დამტკიცებულ ტექნიკურ რეგლამენტთან „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“- შესაბამისობის დადგენის მიზნით.

მისაწვდომი სვლაგეზი:

იატაკის ზედაპირებზე დონე არ შეიცვლება, შესაბამისად დაკმაყოფილებულია 303-ე ქვეთავის მოთხოვნა.

მისაწვდომი სვლაგეზის მინიმალური თავისუფალი სიგანე შენობაში გაუტოლდება არანაკლებ 900 მმ-ს, ხოლო შენობის გარეთ - 1200 მმ-ს, რაც შეესაბამება 403.5.1 ქვეთავის მოთხოვნას.

სადაც მისაწვდომი სვლაგეზი გააკეთებს 180 გრადუსიან ბრუნს, თავისუფალი სიგანე მოსატრიალებელთან მიახლოებისას და მოსატრიალებლიდან მოშორებისას დააკმაყოფილებს 403.5.2.1 ქვეთავით განსაზღვრულ ყველა კრიტერიუმს.

2. კარები და გზა-კარები, რომლებიც მისაწვდომი სვლაგეზის ნაწილია შეესაბამება **404** ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

- მისაწვდომ სვლაგეზზე არსებული ყველა გზა-კარის თავისუფალი სიგანე არ იქნება 820 მმ-ზე ნაკლები, რაც შეესაბამება 404.2.2 ქვეთავის მოთხოვნას.
- მისაწვდომ სვლაგეზზე არსებულ ყველა კართან და გზა-კართან უზრუნველყოფილი იქნება მანევრირებისათვის თავისუფალი სივრცე 404.2.3.2 ცხრილის შესაბამისად. მანევრირებისთვის აუცილებელ თავისუფალ სივრცეში, იატაკის ზედაპირი შეესაბამება 302-ე ქვეთავს და მათი ზედაპირი არ არის 1:48-ზე მეტად დახრილი. ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 404.2.3 და 404.2.3.1 ქვეთავების მოთხოვნებს.
- გზა-კარების ზღურბლების სიმაღლე იქნება არაუმეტეს 13 მმ-ია, რაც შეესაბამება 404.2.4 ქვეთავის მოთხოვნას. რაც შეეხება ამავე ქვეთავით განსაზღვრულ იატაკის დონეებს შორის ცვლილების საკითხს, კარებთან იატაკის დონეები უცვლელია.
- კარის კავეულის სიმაღლე იქნება არაუმცირეს 860 მმ და არაუმეტეს 1200 მმ სიმაღლეზე, რაც შეესაბამება 404.2.6.1 ქვეთავის მოთხოვნას.

<u>ადგილის და შენობის ელემენტები</u>**:**

1. საპროექტო შენობაში მისაწვდომი კიბის ვალდებულების საკითხი დრეგულირდება საქართველოს მთავრობის **28.01.2016** წლის **#41-**ე დადგენილების საფუძველზე**.** ასეთი მისაწვდომი კიბისადმი მოთხოვნები ასევე შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტი **-** „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“**-**ს მე**-5** თავის დებულებებს**,** კერძოდ**:**

- კიბის მარშის ყველა საფეხურს ექნება თანაბარი სიმაღლის ამაღლებები და თანაბარი სიღრმის საბიჯელები. კიბის ამაღლების სიმაღლე გაუტოლდება 160 მმ და საბიჯელების სიღრმე განსაზღვრულია 280 მმ-ის სახით, რაც შეესაბამება 504.2 ქვეთავს.
- კიბის მარშის საზღვრებში არ იქნება მოწყობილი ღია შუბლები, რაც შეესაბამება 504.3 ქვეთავს.
- საფეხურის საბიჯელები შეესაბამება 302-ე ქვეთავს და დაქანება არ იქნება 1:48-ზე მეტი.
- კიბის ყოველი საფეხურის და საბიჯელის 40 მმ სავალ ნაწილს, რომელიც იზომება საფეხურის ნაშვერიდან თარაზულად, ექნება ერთგვაროვანი ფერის მქონე ზედაპირი, რომელიც საფეხურის დანარჩენი ნაწილისგან იქნება მკვეთრად განსხვავებული (მუქი ღია ფონზე). ხილვადი კონტრასტი გაგრძელდება ყოველი საფეხურის ერთი კიდიდან საფეხურის მეორე კიდემდე.
- კიბის საზღვრებში მოეწყობა 505 ქვეთავის შესაბამისი სახელურები.
- ამოწეული სიმბოლოებითა და ბრაილის ასოებით შექმნილი, ნიშანი, წარწერით - „გასასვლელი/EXIT“ გასასვლელის გზა-კიბეში შესასვლელ ყველა კართან იქნება განთავსებული და ასეთივე ნიშანი განთავსდება კიბის უჯრედიდან გარეთ გამავალ კართან. აღნიშნული ნიშანი შეესაბამება 703.3 და 703.4 ქვეთავების მოთხოვნებს.

2. ფანჯრებისადმი მოთხოვნები შესაბამისობაში იქნება ტექნიკური რეგლამენტი **„**მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები**“-**ს მე**-5** თავის დებულებებს**,** კერძოდ**:**

- მისაწვდომ ოთახებსა და სივრცეებში, სადაც არის გაღებადი ფანჯრები, მინიმუმ ერთი ფანჯარა იქნება მისაწვდომი, რომელიც გამოიყენება განიავებისთვის, რაც დააკმაყოფილებს 506.1 ქვეთვის მოთხოვნას.

- მისაწვდომი ფანჯრების დასაკეტად ან ჩასაკეტად და გასახსნელად ან გასაღებად საჭირო მოქმედი ნაწილებთან მოეწყობა იატაკის თავისუფალი სივრცე, თანახმად 506.2 და 309.2 ქვეთავებისა.

<u>წყალსადენის ელემენტები და მოწყობილობები**:**</u>

- წყლის დასალევი შადრევნის წინ, რომელიც განკუთვნილია ეტლით მოსარგებლეთათვის, ცენტრალურად შადრევნის მიმართ გათვალისწინებული იქნება იატაკის თავისუფალი სივრცე, ზომებით 760 მმ X 1300 მმ-ზე, და აღნიშნული სივრცისთვის მოეწყობა 305-ე და 306-ე ქვეთავების შესაბამისი მისადგომები, როგორც ზრდასრულთათვის ისე საბავშვო გამოყებისათვის, რაც აკმაყოფილებს 602.2.1 ქვეთავის მოთხოვნებს.

- ეტლით მოსარგებლეთათვის განკუთვნილი შადრევნის ონკანის სიმაღლე იატაკიდან ზემოთ იქნება 760 მმ-ი, თანახმად 602.2.3 ქვეთავისა.

- ტუალეტის ოთახებში უზრუნველყოფილი იქნება საპროექტო შენობებისათვის განკუთვნილი T-ს ფორმის მოსატრიალებელი სივრცე, რაც შეესაბამება 603.2.1 ქვეთავის მოთხოვნას.

- ტუალეტის ოთახების კარის გაღებისას, ისინი არ შეიჭრებიან მოწყობილობებისათვის განკუთვნილ იატაკის თავისუფალ სივრცეებში, რაც შეესაბამება 603.2.2 ქვეთავს.

- ბავშვებისათვის განკუთვნილი უნიტაზის დასაჯდომის სიმაღლე იატაკიდან იქნება 400 მმ -ს, რაც აკმაყოფილებს 604.11.4 ქვეთავის მოთხოვნას.

- ბავშვებისათვის განკუთვნილი უნიტაზები უზრუნველყოფილი იქნება 309.2 და 309.4 ქვეთავების მოთხოვნების შესაბამისი ჩარეცხვის სამართავებით.

- ბავშვებისათვის განკუთვნილი მისაწვდომ ტუალეტებში მოწყობილი ქაღალდის დისპენსერები დააკმაყოფილებს 604.11.7.1 ქვეთავის მოთხოვნებს.

- ხელსაბანთან მოეწყობა იატაკის თავისუფალი სივრცე, 606.2 და 305.3.1 ქვეთავების შესაბამისად.

- ხელსაბანის განთავსების სიმაღლე შესაბამისობაში იქნება 606,3 ქვეთავის მოთხოვნასთან.

<u>საკომუნიკაციო ელემენტები და ფუნქციები**:**</u>

საპროექტო შენობაში დაკმაყოფილებული იქნება საქართველოს მთავრობის 28.01.2016 წლის #41-ე დადგენილების მოთხოვნები შენობებში მისაწვდომობის

ნიშნების მოწყობისა და ადგილმდებარეობის თაობაზე და ყველა ასეთი ნიშანი შეესაბამებაში იქნება ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მოთხოვნებთან.